ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5301617

ნომერი: AR1641279

თარიღი : 16.03.2020

გაცემის თარიღი : 24.02.2021

გაცნობის თარიღი : 24.02.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა, N 111;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მარიამ პაპუკაშვილი პ/ნ 01008044858
- თბილისი თ.აბულაძის ქ. N 22 ბ. 3

ორგანიზაცია:

- შპს რეალგაზი კოდი: 402000801

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 25 დეკემბერს №AR1641279 განცხადებით მომართა მარიამ პაპუკაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებით შეთანხმდა, ქ. თბილისში, ქუჩა თ. ერისთავი №8-ში, №01.12.12.003.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე დამუშავებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი 1) არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 10 მაისიდან 2020 წლის 10 მაისის ჩათვლით. განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ღია ავტოსადგომების ფართობის (118.2 კვ.მ.) დამატებას.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: №892017236590, მომზადების თარიღი: 03/01/2018 10:06:34) თანახმად, №01.12.12.003.095 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ალფა რეზიდენსი“ (ს/ნ: 405195854). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B21000175, მომზადების თარიღი: 14/01/2021 წ.) თანახმად, შპს „ალფა რეზიდენსი“-ს დირექტორებს დღევანდელი მდგომარეობით წარმოადგენენ გიორგი ხუციშვილი (პ/ნ: 59001014461) და გია დავითაძე (პ/ნ: 61010014644). შპს „ალფა რეზიდენსი“-ს დამფუძნებლების კრების ოქმის თანახმად, დირექტორები საზოგადოების ინტერესებს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ერთად, მათ ეკრძალებათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად მოქმედება. სამსახურში წარმოდგენილია გიორგი ხუციშვილის და გია დავითაძის მიერ მარიამ პაპუკაშვილის სახელზე გაცემული მინდობილობა (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი: №210145446, რეგისტრაციის თარიღი: 23.02.2021 წ.). შესაბამისად, განმცხადებლის უფლებამოსილება დგინდება.

სამსახურმა საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია ვინაიდან, სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებით შეთანხმებული პირველი სართულის გეგმაზე დატანილია ღია ავტოსადგომები (118.2 კვ.მ.). შესაბამისად, შესაძლებელია მათი ზემოაღნიშნულ ბრძანებაში ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და ცვლილება შეიტანოს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებაში და ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებისგან დამოუკიდებლად, ცალკე ფართობად დაფიქსირდეს: ღია ავტოსადგომები: 118.2 კვ.მ.
2. სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებით შეთანხმებული -3, -2, -1 და 1 სართულის არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე სართულების არქიტექტურული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 10 მაისის №3954074 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.